ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4868683

ნომერი: AR1735527

თარიღი : 19.02.2020

გაცემის თარიღი : 20.02.2020

გაცნობის თარიღი : 21.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 56;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია ძნელაძის 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 19

თებერვალს NAR1735527 განცხადებით მომართა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, ნაკვ. 07/065, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.07.007.065), მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 27 იანვრის № 4835675 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 27 იანვრიდან 2022 წლის 27 მაისის ჩათვლით. განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 511.0 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 510.4 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 2843.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2843.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 3803.0 კვ.მ-ის ნაცვლად 3309.9 კვ.მ. საერთო ფართობი 23816.6 კვ.მ-ის ნაცვლად 23323.8 კვ.მ. განმცადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N892018230630 მომზადების თარიღი: 02/04/2018 10:51:24) მიხედვით, N01.10.07.007.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ელენ ჰაუსი“ (438731197). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B18019459, მომზადების თარიღი: 20/02/2018 18:21:19), შპს „ელენ ჰაუსი“-ს (438731197) დირექტორს წარმოადგენს შოთა ქუთათელაძე (პ/ნ: 37001008060) .
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კომერციული ფართობი: 510.4 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 2843.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 3309.9 კვ.მ. საერთო ფართობი: 23323.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებით შეთანმხებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის №4770761 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.